

ქალაქ ზუგდიდის
ცენტრალური უბნის
განაშენიანების გეგმა

IV ეტაპი

ტექსტური ნაწილი



ზუგდიდი



ქალაქ ზუგდიდის ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმა



ღამსჯვეთი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო



შემსრულებელი

შპს „არტსტუდიო პროექტი“



დირექტორი
საპროექტო ჯგუფი

ირინე სვალციანი
გორგი სულაბერიძე
ვაჟა ჯანიანი
ლევან აილაძე
ანი მამულაშვილი
ანი მდინარაძე
მარია თოღუა
სანდრო გოგოლაძე
ლევან რუსიბაშვილი
ელენე ბაგრიძიძე



შპს-ის სპეციალისტი
ვიზუალიზაცია
გრაფიკა

ადგილობრივი ხონსულატები,
საინჟინერო და სატრანსპორტო
ინფრასტრუქტურა

შპს „დაბალი“ ენა
თოღუა, მარიაჯიძე



გუნდის გარემო, ჰიდროლოგიური
და ჰლიმეტრიკური პირობები

შპს „გამა პროსალტინგი“ ენა ბახტაძე, ლევან
ჭაჭაშვილი, ნინო გაყრინდლაშვილი



სომეხლური პროფილი

„დი ჰი ჰი პროსალტინგი“ გიორგი შაბთიძე,
ჭაჭა ბარბაქაძე



ტურიზმი

საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია ნატა
ბახტაძე, ილია ოქროშაძე



ენომოგიური პროფილი

თინათინ გოგიაძე

იურიდიული საკითხები

ანა აილაძე

ხელშეწყობის მენეჯერობა

ლალი ანდრონიკაშვილი, თათია ღვინდია

ტოპოგრაფია

დ. იმბერი ფაბაძე

სარჩევი

1. შესავალი	2
2. დაგეგმვის და დაგეგმარების საფუძველი.....	2
3. ზოგადი ინფორმაცია ქ. ზუგდიდის შესახებ.....	3
4. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის გეგმარებითი ერთეული და აეროფოტო გადაღება.....	5
5. ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის ტოპოგრაფიული რუკა.....	7
6. ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის ფუნქციური ზონები.....	8
7. ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის ფუნქციური ქვეზონები.....	9
8. არასამშენებლო ტერიტორიები	11
8.1 გამწვანებული ტერიტორია.....	11
8.2 ლანდშაფტური ტერიტორია.....	11
9. განაშენიანების მართვის რეგლამენტი	13
10.დამცავი ზონები	29
10.1 კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები	29
10.2 მდინარის წყალდაცვითი ზოლი.....	32
11.სოციალური/სატრანსპორტო/საინჟინრო ინფრასტრუქტურის ტერიტორიები.....	33
11.1 სოციალური ინფრასტრუქტურა	33
11.2 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა.....	35
11.2.1. საავტომობილო გზები.....	35
11.2.2. საფეხმავლო ქუჩები.....	36
11.2.3. ველობილიკების და ელექტრო სკუტერების ბილიკების განვითარება.....	37
11.2.4. ტურისტული მარშრუტი	38
11.2.5. ბულვარი.....	39
11.2.6. ავტოსადგომები.....	43
11.3 საინჟინრო ქსელები	46
11.3.1. წყალმომარაგება, წყალარინების ქსელი.....	46
11.3.2. სანიაღვრე ქსელი.....	47
11.3.3. ელექტრობა.....	48
11.3.4. ბუნებრივი აირი.....	49
12.განაშენიანების დეტალური გეგმის არეალები საპროექტო საზღვარში	50
12.1 ბაზრის და მისი მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება.....	51
12.2 საზოგადოებრივი სივრცე დადიანების კომპლექსის მიმდებარედ	56
13.ყოფილი ავტოსადგურის წინ მდებარე მოედნის მოწესრიგება, ტერიტორიის ოპტიმიზაცია და ახალი საინვესტიციო ტერიტორიების განვითარება.....	59
14.ბოტანიკურ ბაღთან არსებული, ზუგდიდის ყოფილი პოლიტექნიკური სასწავლებლის ტერიტორია.....	61
15.განვითარების ვადები, ეტაპები და რეჟიმობა.....	62

1. შესავალი

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში და მოიცავს ქალაქ ზუგდიდის ცენტრალურ ნაწილს, მდებარეობს ოდიშის დაბლობზე, მდინარე ჩხოუშის ნაპირას ზღვის დონიდან 110 მ სიმაღლეზე. საპროექტო ტერიტორიიდან დედაქალაქ თბილისამდე მანძილი დაახლოებით 330 კმ-ია, ქუთაისამდე - 116 კმ, ფოთამდე - 60 კმ.

2. დაგეგმვის და დაგეგმარების საფუძველი

დაპროექტების საფუძველია 2019 წლის 20 აგვისტოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო განაცხადი N CNT190000093) გამარჯვებული კომპანიის შპს „არტსტუდიო პროექტსა“ და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N1/19 (28/10/2019) ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმის და ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის შემუშავების შესახებ.


3. ზოგადი ინფორმაცია ქ. ზუგდიდის შესახებ

ქ. ზუგდიდი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში და წარმოადგენს მხარის ადმინისტრაციულ ცენტრს. იგი გაშენებულია ოდიშის დაბლობზე, მდინარე ჩხოუშის ნაპირზე ზღვის დონიდან 110 მ სიმაღლეზე. საპროექტო ტერიტორიიდან დედაქალაქ თბილისამდე მანძილი დაახლოებით 330 კმ-ია, ქუთაისამდე - 116 კმ, ფოთამდე - 60 კმ.

ქალაქ ზუგდიდის ფართობი შეადგენს 2143 ჰექტარს. აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, განედური მიმართულებით ქალაქის საზღვრის სიგრძე არის 6 კმ, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, მერიდიანული მიმართულებით - 6,5 კმ.

ქ. ზუგდიდის მთავარი მდინარე ჩხოუშია, რომლის სიგრძე ქალაქის საზღვრებში არის 6,5 კმ და ქალაქს ორ ნაწილად ყოფს. მდინარის კალაპოტის მაქსიმალური სიგანე არის 60 მ-მდე და მინიმალური სიგანე - 19-20 მ. იხ. ილუსტრაცია 3.1.

ილუსტრაცია 3.1



გეომორფოლოგიურად ქ. ზუგდიდი განლაგებულია მდ. ენგურის მარცხენა მხარეს, სამეგრელოს ქედის სამხრეთით, რომელიც სუბგანედური მიმართულებისა და გადაჭიმულია ენგურის ხეობიდან ცხენისწყლის ხეობამდე.

საკვლევ რაიონის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ვულკანური და ვულკანოგენურ-დანალექი ქანები, შუა ოურული ასაკიდან დაწყებული მეოთხეულით დამთავრებული, გარკვეული სტრატოგრაფიული ხარვეზებით.

ტერიტორიაზე ასევე გავრცელებულია შუა მიოცენური, ოლიგოცენური და მეოთხეული ასაკის ალუვიურ-დელუვიური ნალექები.

ძირითადი ქანები მათი გავრცელების უმეტეს ნაწილში გადაფარულია თანამედროვე ელუვიურ-დელუვიური და პროლუვიური ფხვიერი წარმონაქმნებით - თიხნარითა და ლოდნარ-ლორღნარი თიხის და ხვინკის შემავსებლებით.

ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით, ტერიტორია შედის საქართველოს მთათაშუა დეპრესიის ჰიდროგეოლოგიური ოლქის, კოლხეთის არტეზიული აუზის, კერძოდ კი ოდიშის მცირე ზომის არტეზიული აუზის ფარგლებში.

ზუგდიდის ატმოსფერული ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა $+13.8^{\circ}\text{C}$ -ია, ყველაზე ცივი თვის-იანვრის საშუალო წლიური ტემპერატურა დადებითია და $+4.9^{\circ}\text{C}$ -ია, ხოლო ყველაზე თბილი თვის აგვისტოს საშუალო წლიური ტემპერატურა $+22.7^{\circ}\text{C}$ -ია (ივლისის $+22.6^{\circ}\text{C}$). ოქტომბერი აპრილზე თბილია.

ზუგდიდის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით, აღნიშნული ტერიტორიისთვის ნალექების წლიური რაოდენობა 1723 მმ-ს შეადგენს, ხოლო ნალექების დღეღამური მაქსიმუმი 238 მმ-ა.

ტერიტორიაზე ხმელეთის ზედაპირის არათანაბარი გათბობა, მთიანი რელიეფის არსებობა და შედარებით თბილი შავი ზღვის სიახლოვე განაპირობებს სხვადასხვა მიმართულებისა და სიძლიერის ქარების წარმოქმნას. წლის ცივ სეზონში აღმოსავლეთის ქარებია გაბატონებული, თბილ სეზონზე კი დასავლეთის (ზღვიური) ქარები ჭარბობს (იხ. ნახ.). ვაკე-დაბლობის დასავლეთ ნაწილში აღინიშნება დღეღამური ქარების - ბრიზების მოქმედებაც. ზღვის ბრიზი კოლხეთის დაბლობზე საკმაოდ ღრმად ვრცელდება და მისი სიჩქარე 3-6 მ/წმ-ის ფარგლებში იცვლება.

ზღვის სანაპირო ზოლში, სადაც მთები ახლოს შემოდინან სანაპიროსთან, ხდება მთა-ხეობათა ქარებისა და ბრიზების აღრევა, რომლის ფონზეც ეს ქარები ერთმანეთს აძლიერებენ ან ასუსტებენ.

ტერიტორიისთვის აგრეთვე დამახასიათებელია ადგილობრივი თბილი და მშრალი ქარი - ფიონი. იგი ჩვეულებრივ აღმოსავლეთიდან ქრის და ყველაზე ხშირია ზამთარში და გაზაფხულზე. ფიონის შედეგად, შესაძლოა ჰაერის ტემპერატურის სწრაფი ზრდა. ყველაზე დიდი სიჩქარით აღმოსავლეთის ფიონი გამოირჩევა. მისმა სიჩქარემ შესაძლოა 40 მ/წმ გადაჭარბოს.

ქარის საშუალო სიჩქარე წლის ცივ პერიოდში უფრო მეტია, ვიდრე თბილ პერიოდში. ქარის საშუალო წლიური მაჩვენებელი რეგიონის ტერიტორიის დიდ ნაწილზე 3 მ/წმ-ს აღწევს. ძლიერ (15 მ/წმ და მეტი სიჩქარის) ქარიანი დღეების საშუალო წლიური რაოდენობა 6-ია. რეგიონში ქარის საშუალო სიჩქარე 1.3 მ/წმ-ს შეადგე

საპროექტო არეალში დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების რაოდენობა შეადგენს 1 210 საკადასტროს, ფართობი - 107,1 ჰა-ს. მათ შორის დიდი ნაწილი მუნიციპალური საკუთრებაშია. კვლევის ეტაპზე დათვლილია კერძო (29.9%), სახელმწიფო (12.4%), მუნიციპალური (51%), საპატრიარქოს, შერეული და გაურკვეველი (6.7%) ტიპის საკუთრების ფართობი.

ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის განაშენიანება ძირითადად შედგება 3-5 სართულიან შენობებით. ცენტრი ხასიათდება განიერი ქუჩებითა და ტროტუარებით. დომინანტს წარმოადგენს ბულვარი, რომელიც საკმაოდ განიერია. მისი გაბარიტული ზომა არის 91 მეტრი. აქიდან ბულვარი არის დაახლოებით 31 მ, გზის სავალი ნაწილი პარკინგთან ერთად 18-18 მ, ხოლო ტროტუარები გამწვანებით 12 -12მეტრი. შენობების მთავარი ფასადი გამოდის ბულვარის მხარეს, ხოლო უკანა ფასადი ეზოს მხარეს. ცენტრალურ ნაწილში, კვარტლებში არის შიდა ეზოები, რომლის დიდი ნაწილიც არის კერძო და განთავსებულია ინდივიდუალური ავტოფარეხები, რაც ამ ეზოს ჯანსაღად ფუნქციონირებას უშლის ხელს.

ცენტრალურ ნაწილში გვხვდება 3-5 სართულიანი შენობები შერეული ფუნქციებით. განაშენიანების სიმჭიდროვის გამოსავლენად გამოკვლეულია ცენტრალურ უბანის ფრაგმენტი სადაც განაშენიანების სიმჭიდროვე კ1-0,4-მდე მერყეობს.

4. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის გეგმარებითი ერთეული და აეროფოტო გადაღება

პირველივე ეტაპზე მოხდა დამკვეთის მიერ მოწოდებული ცენტრალური ნაწილის საორიენტაციო საზღვარის შეფასება. თავდაპირველად საზღვარი სამხრეთის მხრიდან მოიცავდა ცენტრალური ბულვარის მიმდებარედ არსებულ პარალელურად განვითარებულ უბნებს და გზებს, აღმოსავლეთით თბილისის ქუჩის გავლით უკავშირდებოდა ცოტნე დადიანის ქუჩას და შემდგომში სოხუმის ქუჩას, ჩრდილოეთით გარს უვლიდა ბოტანიკურ ბაღს და დადიანების სასახლეს, ხოლო დასავლეთით საცხოვრებელი უბნის მცირედ ნაწილს და აგრარულ ბაზარს. ფართობით დაახლოებით შეადგენდა 90 ჰა-ს.

კვლევის ეტაპზე განვსაზღვრეთ და დავაკორექტირეთ განაშენიანების გეგმის არეალის საზღვარი, რომელიც დასავლეთ ნაწილში, ბულვარის დასაწყისში მოიცავს მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მოედანს და მის ირგვლივ განვითარებულ განაშენიანებას (დასავლეთის მხარე არ შეგვიცვლია), აღმოსავლეთით შემოთავაზებული საზღვარი კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩის ნაცვლად გადის თავისუფლების ქუჩაზე და ისე უკავშირდება თბილისის ქუჩას, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით მიზანშეწონილია ტერიტორიის სწორად განვითარებისთვის გგ-ს არეალში შესულიყო არა მარტო ბოტანიკური ბაღის და დადიანების სასახლის ირგვლივ არსებული ქუჩები, არამედ ქუჩებსა და მოედნებზე არსებული განაშენიანების პირველი ზოლი. დასავლეთის მხარეს გგ-ს საზღვარმა მოიცვა მდინარის პირას განვითარებული დაბალი სიმჭიდროვის საცხოვრებელი უბანი და დღეის მდგომარეობით ქაოსურად განვითარებული ტერიტორია, რომელიც დადიანების სასახლეს და მდინარეს შორის არის მოქცეული და აგრარული ბაზრის ჩათვლით მოიცავს მდინარის სანაპიროს.

ცენტრალური გეგმის დამუშავების პროცესში საჭიროებიდან გამომდინარე მცირედით შეიცვალა გეგმარებითი არეალის კონტური. კონცეფციის ეტაპზე განაშენიანების გეგმის საზღვარი, სამხრეთ დასავლეთით გადიოდა აგრაგული ბაზრის უკან მდებარე სპირიდონ კედიას ქუჩაზე. ვინაიდან ქუჩის





მეორე მხარესაც ტერიტორია არის ქაოტურად განაშენიანებული გენერალური გეგმის ეტაპზე ცენტრალური ნაწილის გგ- არეალი შეიცვალა და 117,6 ჰა-ის ნაცვლად გახდა 119,8 ჰა. ასევე მოხდა გეგმარებითი არეალის დაზუსტება საკუთრების და გენერალური გეგმით მინიჭებული ზონების მიხედვით.

ცენტრალური ნაწილის განაშენიანების რეგულირების გეგმისთვის, გადაღებულია აეროფოტო LIDAR-ის (light Detection and Ranging) სისტემით, 3-D რელიეფის მოცულობით. მოცემულ ილუსტრაციაში გაერთიანებულია ორივე დონის შეგროვებული მასალის მონაცემები.

ილუსტრაცია 4.1




პირობითი აღნიშვნები

-  ქ. ზუგდიდის ცენტრის საზღვარი
-  ქ. ზუგდიდის ცენტრის დაკორექტირებული საზღვარი
-  რკინიგზა
-  პილროგრაფია

5. ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის ტოპოგრაფიული რუკა

წარმოდგენილი ტოპო გეგმა მოწოდებულია ქ. ზუგდიდის მერიის მიერ. ტოპო გეგმაზე წარმოდგენილია, საკოორდინატო ბადე, იზოჰიფსები 2 მ-იანი ინტერვალით, ნიშნულები, შენობა ნაგებობები, ქუჩათა/გზათა ქსელი, მცენარეულობა და ჰიდროგრაფია. ტოპოგეგმაზე ფერებით გამოყოფილია ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო შენობები, მუზეუმები, კულტურის ცენტრები, ბაზარი, ბოტანიკური ბაღი. განაშენიანების გეგმის საზღვარში აბსოლუტური ნიშნულები 100 მ დან 119 მ. მდე შერყობს.

ილუსტრაცია N 5.1



100 აბსოლუტური ნიშნულები

ნ. ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის ფუნქციური ზონები

ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილში სამშენებლო ტერიტორიებზე დადგენილია შემდეგი ფუნქციური ზონები:

ა) საცხოვრებელი ზონა (სზ); ტერიტორიის ფართობი - 20,23ა;

ბ) შერეული ზონა (შზ); ტერიტორიის ფართობი - 32,3 ჰა;

ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმით დადგენილია ტერიტორიები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის. ტერიტორიის ფართობი - 2,1 ჰა

ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმით არასამშენებლოდ განსაზღვრული ტერიტორიის ფართობი - 43,6 ჰა

ილუსტრაცია N 6.1



ცხრილი N 7.1

სართული N	ფართობი კვ.მ	შესაბამის სიმაღლე	საშუალო სიმაღლე	საშუალო სიმაღლე	საშუალო სიმაღლე	საშუალო სიმაღლე	საშუალო სიმაღლე	საშუალო სიმაღლე	საშუალო სიმაღლე	საშუალო სიმაღლე
1	4765	სს-2	0.4	1906	0.8	3812	0.4	1906	8/10	
2	3367	სს-2	0.4	1348	0.8	2695	0.4	1348	8/10	
3	3115	სს-2	0.4	1246	0.8	2493	0.4	1246	8/10	
4	12478	სს-2-1	0.5	6239	1.2	12478	0.3	3735	8/10	
5	10717	სს-2-1	0.5	5359	1.2	10717	0.3	3215	8/10	
6	14697	სს-2-1	0.5	7349	1.2	14697	0.3	4409	8/10	
7	10028	სს-2-1	0.5	5014	1.2	10028	0.3	3008	8/10	
8	20212	სს-2-1	0.5	10106	1.2	20212	0.3	6062	8/10	
9	11301	სს-2-1	0.5	5651	1.2	11301	0.3	3567	8/10	
10	8637	სს-2-1	0.5	4319	1.2	8637	0.3	2591	8/10	
11	7949	სს-2-1	0.5	3972	1.2	7949	0.3	2385	8/10	
12	2233	სს-2-1	0.5	1117	1.2	2233	0.3	670	8/10	
13	9488	სს-2-1	0.5	4744	1.2	9488	0.3	2821	8/10	
14	10459	სს-2-1	0.5	5230	1.2	10459	0.3	3150	8/10	
15	4662	სს-2-1	0.5	2331	1.2	4662	0.3	1465	8/10	
16	5692	სს-2-1	0.5	2846	1.2	5692	0.3	1710	8/10	
17	9002	სს-2-1	0.5	4501	1.2	9002	0.3	2701	8/10	
18	16616	სს-2-1	0.5	8308	1.2	16616	0.3	4946	8/10	
19	6005	სს-2-1	0.5	3003	1.2	6005	0.3	1802	8/10	
20	1374	სს-3	0.5	687	1.5	1374	0.3	412.2	15/17	
21	4395	სს-3	0.5	2198	1.5	4395	0.3	1318.8	15/17	
22	1013	სს-4	0.5	507	1.8	1013	0.3	304	17/19	
23	10685	სს-4	0.5	5343	1.8	10685	0.3	3200	17/19	
24	9265	სს-4	0.5	4633	1.8	9265	0.3	2770	17/19	
25	1467	სს-4	0.5	734	1.8	1467	0.3	440	17/19	
26	1212	სს-4	0.5	606	1.8	1212	0.3	364	17/19	
27	18095	სს-2	0.5	9048	2.5	18095	0.2	5428.5	17/19	
28	23666	სს-2	0.5	11833	2.5	23666	0.2	7099.5	17/19	
29	13565	სს-2	0.5	6783	2.5	13565	0.2	4069.5	17/19	
30	14527	სს-2	0.5	7264	2.5	14527	0.2	4358.1	17/19	
31	9899	სს-2	0.5	4949	2.5	9899	0.2	2969.7	17/19	
32	9369	სს-2	0.5	4685	2.5	9369	0.2	2810.7	17/19	
33	16827	სს-2	0.5	8414	2.5	16827	0.2	5048.1	17/19	
34	21929	სს-2	0.5	10965	2.5	21929	0.2	6578.7	17/19	
35	1515	სს-2	0.5	758	2.5	1515	0.2	454.5	17/19	
36	10842	სს-2	0.5	5421	2.5	10842	0.2	3252.6	17/19	
37	14898	სს-3	0.5	7449	2.5	14898	0.2	4469.4	17/19	
38	17277	სს-3	0.5	8639	2.5	17277	0.2	5183.1	17/19	
39	6737	სს-3	0.5	3369	2.5	6737	0.2	2021.1	17/19	
40	17861	სს-3	0.5	8931	2.5	17861	0.2	5358.3	17/19	
41	1402	სს-3	0.5	701	2.5	1402	0.2	420.6	17/19	
42	50278	სს-3	0.5	25139	2.5	50278	0.2	15083.4	17/19	
43	1261	სს-3	0.5	631	2.5	1261	0.2	378.3	17/19	
44	12405	სს-3	0.5	6203	2.5	12405	0.2	3721.5	17/19	
45	1432	სს-3	0.5	716	2.5	1432	0.2	429.6	17/19	
46	20186	სს-3	0.5	10093	2.5	20186	0.2	6055.8	17/19	
47	6765	სს-5	0.5	3383	0	6765	0.2	2029.5	12/15	
48	20817	სს-5	0.5	10409	0	20817	0.2	6245.1	12/15	
49	6281	სს-5	0.5	3140.5	0	6281	0.2	1884.3	12/15	
50	2457	სს-5	0.5	1228.5	0	2457	0.2	737.1	12/15	
51	48290	ბტ								
52	22666	ბტ								
53	277770	ბტ								
54	5695	ბტ								
55	13730	ბტ								
56	12755	ბტ								
57	8301	ლტ								
58	11779	ლტ								
59	216090	ტტ								
ჯამი	1197573									

საშუალო სიმაღლე (სს-2)

- საშუალო სიმაღლე (სს-2-1)
- საშუალო სიმაღლე (სს-3)
- საშუალო სიმაღლე (სს-4)
- საშუალო სიმაღლე (სს-2)
- საშუალო სიმაღლე (სს-3)
- საშუალო სიმაღლე (სს-5)
- საშუალო სიმაღლე (ბტ)
- საშუალო სიმაღლე (ლტ)
- საშუალო სიმაღლე (ტტ)

8. არასამშენებლო ტერიტორიები

ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილში არასამშენებლო ტერიტორიებს მიეკუთვნება გამწვანებული, ბუნებრივ-ლანდშაფტური და სხვა ტერიტორიები, რომლებზეც ან საერთოდ აკრძალულია მშენებლობა, ან განსაკუთრებული საგამონაკლისო პირობებით დადგენილი წესით მოხდება განვითარება.

8.1 გამწვანებული ტერიტორია

საქალაქო პარკის გამწვანების ფართობი მოიცავს 44,8 ჰა-ს და ვრცელდება ბულვარზე, დადიანების ბაღზე და ბაზრის მიმდებარედ მდინარისპირა ტერიტორიაზე, სადაც უნდა დამუშავდეს განაშენიანების დეტალური გეგმა. ტერიტორიების ფართობის არანაკლებ 70%-ზე დაცული უნდა იყოს წყალგამტარუნარიანობა. აკრძალულია ყველანაირი მშენებლობა გარდა სარეკრეაციო მიზნებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურისა, ასევე დასაშვებია მოეწყოს დასასვენებელი, გასართობი, სათამაშო, საკემპინგე, საბანაო ადგილები, ატრაქციონები და სპეციალური შეთანხმებით საკულტო ნაგებობები, კვების ობიექტები, საგამოფენო პავილიონები, ბელვედერი და დროებითი ნაგებობები.


8.2 ლანდშაფტური ტერიტორია

განაშენიანების გეგმით ლანდშაფტური ტერიტორია ვრცელდება მის საზღვარში არსებულ მდინარის სანაპიროებზე და შეადგენს 2,1 ჰა-ს.

ლანდშაფტურ ტერიტორიაზე დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა:


- ა) მისი ფუნქციონირებისა და დაცვისთვის უზრუნველყოფი შენობა-ნაგებობებისა;
- ბ) რელიგიური/საკულტო შენობა-ნაგებობებისა, საგამონაკლისო წესით;
- გ) სპეციალური ტურისტული მარშრუტით შეთანხმებული, კანორამული ხედების მქონე, ტურისტული ინფრასტრუქტურისათვის საჭირო შენობა-ნაგებობებისა

ილუსტრაცია N 8.2



პირობითი აღნიშვნები

- ქ. ზუგდიდის ცენტრის ფაქონქტირებული სასტყარი
- შიღროგრაფია
- რკინიგზა
- ნაკვეთი
- შენობა-ანგებობა
- უბნის ტერიტორია
- საქალაქო გამწანება (გგ)
- საარეზერვო საქალაქო გამწანება
- ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორია (ლტ)
- საფეხმავლო ბილიკი
- რამენ ტერიტორიაზე გამწანებული ტერიტორიები



■ გამწანებული ეზოები ■ არასამშენებლო ტერიტორიები

9. განაშენიანების მართვის რეგლამენტი

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. განაშენიანების მართვის რეგლამენტი

1. განაშენიანების მართვის რეგლამენტი შედგენილია საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების, „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილების (შემდგომში - ძირითადი დებულებები), „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად, ქ. ზუგდიდის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.
2. განაშენიანების გეგმის რეგლამენტი შეესაბამება ქ. ზუგდიდის გენერალური გეგმით დადგენილ მოთხოვნებს.

მუხლი 2. მიზნები და დაგეგმარების პრინციპები

1. განაშენიანების მართვის რეგლამენტის მიზანია ქალაქისთვის დამახასიათებელი განაშენიანების სპეციფიკური პირობების დადგენა.
2. ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის დაგეგმარების ძირითადი პრინციპებია:
 - ა) დაგეგმილი განაშენიანება უნდა ჩაეწეროს არსებულ განაშენიანებაში ისე, რომ დაცული იქნას არსებული ბუნებრივი გარემო და წყლის ბუნებრივი სისტემები, ასევე შეიქმნას და დაცულ იქნას განაშენიანებისგან ღია სივრცეების ქსელი;
 - ბ) ადამიანისათვის ღირსეული საარსებო პირობების შექმნა და შენარჩუნება;
 - გ) ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და კულტურულად ჩამოყალიბებული მრავალფეროვნების შენარჩუნება;
 - დ) ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების შენარჩუნება და მდგრადი განვითარება;

მუხლი 3. ტერმინები და მათი განმარტებები

1. განაშენიანების მართვის რეგლამენტის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების, „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილების

გამოყენებული ტერმინების და მათი განმარტებები გამოიყენება განაშენიანების მართვის რეგლამენტის მიზნებისთვის, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში დამატებით მოცემული ტერმინებისა და მათი განმარტებებისა.

2. განაშენიანების მართვის რეგლამენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ეზო, ღია - დაუკავებელი სივრცე მიწის ნაკვეთზე, გარდა შიგა ეზოსა, სადაც არ დგას შენობა-ნაგებობები;

ბ) ეზო, წინა - ეზო, რომელიც ვრცელდება მიწის ნაკვეთის მთელ სიგანეზე, რომლის სიღრმე განისაზღვრება მიწის ნაკვეთის საზოგადოებრივ საზღვარსა და მიწის ნაკვეთზე განსათავსებელ შენობას შორის მინიმალური დასაცილებელი მანძილით;

გ) ეზო, უკანა - ეზო, რომელიც ვრცელდება მიწის ნაკვეთის მთელ სიგანეზე, რომლის სიღრმე განისაზღვრება მიწის ნაკვეთის უკანა სამეზობლო საზღვარსა და მიწის ნაკვეთზე განსათავსებელ შენობას შორის მინიმალური დასაცილებელი მანძილით;

დ) ეზო, გვერდითი - ეზო, რომელიც ვრცელდება მიწის ნაკვეთის მთელ სიღრმეზე, რომლის სიგანე განისაზღვრება მიწის ნაკვეთის გვერდითა სამეზობლო საზღვარსა და მიწის ნაკვეთზე განსათავსებელ შენობას შორის მინიმალური დასაცილებელი მანძილით;

ე) ეზო, შიდა - სივრცე ღია ცის ქვეშ, რომელიც მდებარეობს მიწის დონეზე ან მის მაღლა მიწის ნაკვეთზე და საში ან მეტი მხრიდან შემოსაზღვრულია შენობის კედლებით;

ვ) საცხოვრებელ-სამუშაო ერთეული - ერთი ოჯახის საცხოვრებელი შენობა, რომლის პირველ ან მიწისპირა სართულზე დასაშვებია არასაცხოვრებელი ფართობის არსებობა, რომელიც არ უნდა იკავებდეს მთელი შენობის ნახევარზე მეტს;

ზ) საოჯახო სასტუმრო - ნებისმიერი შენობა, რომელიც შეიცავს ერთი ოჯახის საცხოვრებელ ერთეულს და დამატებით ორ ან მეტ სამინებელ ერთეულს, რომლებიც დაგეგმარებული ან გამოიზნულია, ან გამოიყენება, გაიყვამა ოჯარით ან ქირავდება, ან დაკავებულია სტუმრების მიერ დასამინებლად;

თ) სასტუმრო - ნებისმიერი შენობა, რომელიც შეიცავს ექვს ან მეტ სამინებელ ერთეულს, რომლებიც დაგეგმარებული ან გამოიზნულია, ან გამოიყენება, გაიყვამა ოჯარით ან ქირავდება, ან დაკავებულია სტუმრების მიერ დასამინებლად;

ი) შეწევის მანძილი - მინიმალური აუცილებელი მანძილი საკუთრების ზაზსა და შენობას შორის.

თავი II

სამშენებლო ტერიტორია

მუხლი 4. ფუნქციური ზონები და სამშენებლო ტერიტორიები

1. ფუნქციური ზონა მდებარეობს სამშენებლო ტერიტორიაზე, სადაც ნორმატიული რეჟიმის თანახმად, ნებადართულია მშენებლობა.
2. სამშენებლო ტერიტორიაზე ამ რეგლამენტით დადგენილი მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანისა და სიღრმის ზომების შემცირება დასაშვებია 10%-მდე.
3. ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმით, სამშენებლო ტერიტორიებზე დადგენილია შემდეგი ფუნქციური ზონები:

ა) საცხოვრებელი ზონა (სზ);

ბ) შერეული ზონა (შზ).

4. ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმით დადგენილია შემდეგი ქვეზონები:

ა) საცხოვრებელი ზონა (სზ);

ა.ა) დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-2);

ა.ბ) დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-2-1);

ა.გ) საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-3);

ა.დ) მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-4).

ბ) შერეული ზონა (შზ):

ბ.ა) ცენტრის ზონა (შზ-2);

ბ.ბ) საქმიანი ზონა (შზ-3);

ბ.გ) კომერციული ზონა (შზ-5).

მუხლი 5. დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-2) და საცხოვრებელი ზონა (სზ-2-1)

1. დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა წარმოადგენს საცხოვრებელი ზონის ერთგვაროვან ქვეზონას, სადაც დომინირებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. აგრეთვე, დასაშვებია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობის განთავსება.
2. ნებადართული სახეობებია:
 - ა) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი (დომინირებული სახეობა);
 - ბ) სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
 - გ) კვების და სავაჭრო ობიექტი, რომელიც ემსახურება შესაბამის განაშენიანებას;

- დ) საოჯახო (არასამეწარმეო) საბაღე და საბოსტნე მეურნეობისთვის საჭირო შენობა-ნაგებობა (მათ შორის, ორანჟერეა დასათბური), სამეზობლო თმენისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით;
- ე) მცირე ზომის სახელოსნო, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თმენის პრინციპებს;
- ვ) რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი;
- ზ) სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულება;
- თ) საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი;
- ი) ადმინისტრაციული ობიექტი;
- კ) ინდივიდუალური სამეურნეო და ტექნიკური დამხმარე ნაგებობა.
3. საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს:
- ა) სასტუმრო;
- ბ) მცირე ზომის სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თმენის პრინციპებს და არ არის საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის;
- გ) ოფისი;
- დ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.
4. პარამეტრების რეგულირება მოცემულია ცხრილ 1-ში:

ცხრილი 1

დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-2) და საცხოვრებელი ზონა (სზ-2-1)

მიწის ნაკვეთის ფართობი (მ ²)	400
მაქსიმალური სიმჭიდროვე (საცხოვრებელი ერთეული/ჰექტარზე)	20
მიწის ნაკვეთის ზომები	
მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე (მ)	108
მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე (მ)	20 მ
შენიშვნის მანძილებისადმი მოთხოვნები	
საცხოვრებელი ზონა (სზ-2)-ში მინიმალური წინა ეზო (მ)	78
საცხოვრებელი ზონა (სზ-2-1)-ში მინიმალური წინა ეზო (მ)	0
მინიმალური გვერდითა ეზო (მ)	1,58*
მინიმალური უკანა ეზო (მ)	38
მაქსიმალური სართულიანობა	
მაქსიმალური სართულიანობა	2 სართული
შენიშვნის მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრული შენობასთან დაგეგმარებული და დასრულებული ყველაზე დაბალი მიწის ზედაპირიდან	
კედლის თავამდე	8 მ

კების თავამდე	10,8
განაშენიანების კოეფიციენტები	
საცხოვრებელი ზონა (სზ-2)-ში მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1)	0,4
საცხოვრებელი ზონა (სზ-2-1)-ში მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1)	0,5
საცხოვრებელი ზონა (სზ-2)-ში მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის (სიმჭიდროვის) მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2)	0,8
საცხოვრებელი ზონა (სზ-2-1)-ში მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის (სიმჭიდროვის) მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2)	1,2
საცხოვრებელი ზონა (სზ-2)-ში მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3)	0,4
საცხოვრებელი ზონა (სზ-2-1)-ში მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3)	0,3

* შენიშვნა - სამეზობლო მოგზის ზონის 1,5 მეტრიანი მინიმალური მანძილი უნდა დარეგულირდეს კანონმდებლობის შესაბამისად, რადგან ასეთი შეწყვეის მანძილი, ზოგადად დამახასიათებელია ზუგდიდის ინდივიდუალური (ორსართულიანი) საცხოვრებელი განაშენიანებისათვის .

მუხლი 6. საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-3)

1. საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა წარმოადგენს საცხოვრებელი ზონის არაერთგვაროვან ქვეზონას, სადაც დასაშვებია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების არსებობა.
2. ნებადართული სახეობებია:
 - ა) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი;
 - ბ) საშუალო ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
 - გ) სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
 - დ) საბაღე და საბოსტნე მეურნეობისთვის საჭირო შენობა-ნაგებობა (მათ შორის, ორანჟერეა და სათბური);
 - ე) კვების და საფაჭრო ობიექტი, რომელიც ემსახურება შესაბამის დასახლებას;
 - ვ) სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულება;
 - ზ) მცირეზომის სახელოსნო, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თემის პრინციპებს;
 - თ) რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი;
 - ი) საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი;
 - კ) სასტუმრო;
 - ლ) ინდივიდუალური სამეურნეო და ტექნიკური დამხმარე ნაგებობა;
 - მ) ადმინისტრაციული ობიექტი;

- ნ) ოფისი;
 - ო) ცალკე მდგომი და შენობაში ინტეგრირებული ავტოსადგომი.
3. საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს:
- ა) მცირე ზომის სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თმენის პრინციპებს;
 - ბ) სავაჭრო ცენტრი;
 - გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.
4. პარამეტრების რეგულირება მოცემულია ცხრილ 2-ში:

ცხრილი 2

საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (საზ-3)

მიწის ნაკვეთის ფართობი (მ ²)	600
მაქსიმალური სიმჭიდროვე (საცხოვრებელი ერთეული/ჰექტარზე)	50
მიწის ნაკვეთის ზომები	
მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე (მ)	20 მ
მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე (მ)	30 მ
მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსებისადმი მოთხოვნები ბირითადი დებულებების შესაბამისად	
მაქსიმალური სართულიანობა	4 სართული
შენობის მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრული შენობასთან დაგეგმარებული და დასრულებული ყველაზე დაბალი მიწის ზედაპირიდან	
კედლის თავამდე	15 მ
კეხის თავამდე	17 მ
განაშენიანების კოეფიციენტები	
მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1)	0,5
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის (სიმჭიდროვის) მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2)	1,5
მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3)	0,3

მუხლი 7. მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-4)

1. მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა წარმოადგენს საცხოვრებელი ზონის ერთგვაროვან ქვეზონას, სადაც დომინირებს საცხოვრებელი სახლები. აგრეთვე, დასაშვებია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების არსებობა.
2. ნებადართული სახეობებია:
 - ა) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (დომინირებული სახეობა);
 - ბ) სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
 - გ) კვების და საფაქრო ობიექტი, რომელიც ემსახურება შესაბამის განამენიანებას;
 - დ) სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულება;
 - ე) მცირე ზომის სახელოსნო, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თემის პრინციპებს;
 - ვ) რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი;
 - ზ) სასტუმრო;
 - თ) პროფესიული სასწავლებელი;
 - ი) ოფისი;
 - კ) საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი;
 - ლ) ადმინისტრაციული ობიექტი;
 - მ) ინდივიდუალური სამეურნეო და ტექნიკური დამხმარე ნაგებობა;
 - ნ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.
3. საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს:
 - ა) სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თემის პრინციპებს;
 - ბ) საფაქრო ცენტრი;
 - გ) უმაღლესი სასწავლებელი და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულება.
4. პარამეტრების რეგულირება მოცემულია ცხრილ 3-ში:

**ცხრილი 3
მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-4)**

მიწის ნაკვეთის ფართობი (მ ²)	1000
მაქსიმალური სიმაღლე (საცხოვრებელი ერთეული/ვექტარზე)	150
მიწის ნაკვეთის ზომები	
მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე (მ)	30 მ
მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე (მ)	30 მ
მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსებისადმი მოთხოვნები ბირითადი დებულებების შესაბამისად	
მაქსიმალური სართულიანობა	5 სართული

შენობის მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრულია შენობასთან დაგეგმარებული და დასრულებული ყველაზე დაბალი მიწის ზედაპირიდან	
კედლის თავამდე	17 მ
კუხის თავამდე	19 მ
განაშენიანების კოეფიციენტები	
მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1)	0,5
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის (სიმჭიდროვის) მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2)	1,8
მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3)	0,3

მუხლი 8. ცენტრის ზონა (შზ-2)

1. ცენტრის ზონა წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის შერეული ზონის ქვეზონას, სადაც დომინირებს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები.
2. ნებადართული სახეობებია:
 - ა) მრავალფუნქციური შენობა;
 - ბ) სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
 - გ) კვების, სავაჭრო და საოფისე ობიექტი;
 - დ) სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თმენის პრინციპებს;
 - ე) რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი;
 - ვ) სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულება;
 - ზ) სასტუმრო;
 - თ) ადმინისტრაციული ობიექტი;
 - ი) უმაღლესი სასწავლებელი და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულება;
 - კ) გასართობი დაწესებულება, რომლის დანიშნულებაა მისი დასაშვებობის საშუალებას იძლევა;
 - ლ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.
3. საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს:
 - ა) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
 - ბ) სავაჭრო ცენტრი.
4. პარამეტრების რეგულირება მოცემულია ცხრილ 4-ში:

**ცხრილი 4
ცენტრის ზონა (შზ-2)**

მიწის ნაკვეთის ფართობი (მ ²)	600
მიწის ნაკვეთის ზომები	
მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე (მ)	20 მ
მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე (მ)	25 მ
მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსებისადმი მოთხოვნები ბირითადი დებულებების შესაბამისად	
მაქსიმალური სართულიანობა	5 სართული
შენობის მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრული შენობასთან დაგეგმარებული და დასრულებული ყველაზე დაბალი მიწის ზედაპირიდან	
კედლის თავამდე	17 მ
კეხის თავამდე	19 მ
განაშენიანების კოეფიციენტები	
მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1)	0,5
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის (სიმჭიდროვის) მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2)	2,5
მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3)	0,2

მუხლი 9. საქმიანი ზონა (შზ-3)

1. საქმიანი ზონა წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის შერეულ საქმიან ქვეზონას, სადაც დომინირებს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები.
2. ნებადართული სახეობებია:
 - ა) მრავალფუნქციური შენობა (დომინირებულად გამოყოფილია საზოგადოებრივი ფუნქციური სახეობები);
 - ბ) სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
 - გ) კვების, სავაჭრო და საოფისე ობიექტი;
 - დ) სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თემის პრინციპებს;
 - ე) რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი;
 - ვ) სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულება;
 - ზ) სასტუმრო;
 - თ) ადმინისტრაციული ობიექტი;
 - ი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი;
 - კ) გასართობი დაწესებულება, რომლის დანიშნულებაა მისი დასაშვებობის საშუალებას იძლევა;

- ლ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.
3. საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს:
- ა) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
 - ბ) სავაჭრო ცენტრი.
4. პარამეტრების რეგულირება მოცემულია ცხრილ 5-ში:

ცხრილი 5
საქმიანი ზონა (შზ-3)

მიწის ნაკვეთის ფართობი (მ ²)	1000
მიწის ნაკვეთის ზომები	
მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე (მ)	30 მ
მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე (მ)	30 მ
მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსებისადმი მოთხოვნები ძირითადი დებულებების შესაბამისად	
მაქსიმალური სართულიანობა	5 სართული
შენობის მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრული შენობასთან დაგეგმარებული და დასრულებული ყველაზე დაბალი მიწის ზედაპირიდან	
კედლის თავამდე	17 მ
კეხის თავამდე	19 მ
განაშენიანების კოეფიციენტები	
მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1)	0,5
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის (სიმჭიდროვის) მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2)	2,5
მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3)	0,2

მუხლი 10. კომერციული ზონა (შზ-5)

1. კომერციული ზონა წარმოადგენს ინდუსტრიული ზონის ქვეზონას, სადაც დომინირებს კომერციული ობიექტები, რომლებიც გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე არ ახდენს მავნე ზემოქმედებას.
2. ნებადართული სახეობებია:
- ა) მრავალფუნქციური შენობა (დომინირებულად გამოყოფილია საზოგადოებრივი ფუნქციური სახეობები);
 - ბ) სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
 - გ) კვების და საოფისე ობიექტი;

- დ) მომსახურების ობიექტი;
 - ე) სავაჭრო ცენტრი (მათ შორის, მოლი და აგრარული ბაზარი);
 - ვ) ოფისი;
 - ზ) სასტუმრო;
 - თ) ადმინისტრაციული ობიექტი;
 - ი) გასართობი დაწესებულებები, რომლის დანიშნულება მისი დასაშვებობის საშუალებას იძლევა;
 - კ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.
 - ლ) პროფესიული გადამზადების ცენტრი;
 - მ) ტექნოლოგიური პარკი.
3. საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს:
- ა) საცხოვრებელი სახლი, ქვეზონაში დასაქმებული პირებისათვის;
 - ბ) რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი.
4. პარამეტრების რეგულირება მოცემულია ცხრილ 6-ში:

ცხრილი 6
კომერციული ზონა (შზ-5)

მიწის ნაკვეთის ფართობი (მ ²)	2000
მიწის ნაკვეთის ზომები	
მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე (მ)	30 მ
მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე (მ)	40 მ
მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსებისადმი მოთხოვნები ძირითადი დებულებების შესაბამისად	
მაქსიმალური სართულიანობა	3 სართული
შენობის მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრული შენობასთან დაგეგმარებული და დასრულებული ყველაზე დაბალი მიწის ზედაპირიდან	
კედლის თავამდე	12 მ
კუხის თავამდე	15 მ
განაშენიანების კოეფიციენტები	
მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1)	0,7
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის (სიმჭიდროვის) მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2)	
მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3)	0,2

მუხლი 11. ავტოსადგომები

მიწის ნაკვეთზე ავტოსადგომის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება ძირითადი დებულებების მე-18 მუხლის შესაბამისად. გამონაკლისი ან/და დამატებითი პირობები დგინდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 12. სხვა ობიექტები და სივრცეები

მიწის ნაკვეთზე სხვა ობიექტების და სივრცეების განთავსების საკითხები წესრიგდება ძირითადი დებულებების მე-19 მუხლის შესაბამისად.

თავი III

განაშენიანებისგან თავისუფალი (არასამშენებლო) ტერიტორიები და დამცავი ზონები

მუხლი 13. არასამშენებლო ტერიტორიები

1. არასამშენებლო ტერიტორიებს მიეკუთვნება გამწვანებული, ბუნებრივ-ლანდშაფტური და სხვა ტერიტორიები, რომლებზეც ან საერთოდ აკრძალულია მშენებლობა, ან განსაკუთრებული საგამონაკლისო პირობებით დადგენილი წესით მოხდება განვითარება.
2. ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმით დადგენილია შემდეგი არასამშენებლო ტერიტორიები:
 - ა) გამწვანებული ტერიტორიები;
 - ბ) ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორიები.

მუხლი 14. გამწვანებული ტერიტორია

1. ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმაში წარმოდგენილია ნაშენ გარემოში არსებული და საპროექტო გამწვანებული ტერიტორიები, რომლებიც განკუთვნილია საქალაქო პარკისთვის.
2. გამწვანებული ტერიტორიის მოწყობა დასაშვებია როგორც საჯარო, ისე კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე.

მუხლი 15. გამწვანებული ტერიტორია საქალაქო პარკისთვის

გამწვანებული საქალაქო პარკის ტერიტორია ვრცელდება ბულვარზე, დადიანების ბაღზე და მდინარისპირა პარკზე, სადაც საფალდეულოა განაშენიანების დეტალური გეგმის მომზადება. გამწვანებული ტერიტორიების ფართობის არანაკლებ 70%-ზე დაცულია წყალგამტარუნარიანობა. აკრძალულია ყველანაირი მშენებლობა, გარდა სარეკრეაციო მიზნებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურისა, ასევე დასაშვებია მოეწყოს დასასვენებელი, გასართობი, სათამაშო, საკემპინგე, საბანაო ადგილები, ატრაქციონები და სპეციალური შეთანხმებით საკულტო ნაგებობები, კვების ობიექტები, საგამოფენო პავილიონები, ბელვედერი და დროებითი ნაგებობები.

მუხლი 16. ლანდშაფტური ტერიტორია

1. ლანდშაფტურ ტერიტორიაზე დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა:
 - ა) მისი ფუნქციონირებისა და დაცვისთვის უზრუნველყოფი შენობა-ნაგებობებისა;
 - ბ) რელიგიური/საკულტო შენობა-ნაგებობებისა, საგამონაკლისო წესით;
 - გ) სპეციალური ტურისტული მარშრუტით შეთანხმებული, პანორამული ხედების მქონე, ტურისტული ინფრასტრუქტურისათვის საჭირო შენობა-ნაგებობებისა.

2. ქ. ზუგდიდის ცენტრალურ ნაწილის განაშენიანების გეგმის შესაბამისად ლანდშაფტურ ტერიტორიად დადგენილია მდინარე ჩხოუშიას წყლის დაცვის ზოლის შიგნით მდებარე ტერიტორია, რომლის საფუძველიც არის საქართველოს მთავრობის დადგენილება N440 (31.12.2013) „ტექნიკური რეგლამენტი წყალდაცვითი ზოლის შესახებ“, სადაც 50 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის წყალდაცვითი ზოლი განისაზღვრება 20 მეტრით.

მუხლი 17. დამცავი ზონები

1. ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმით დადგენილია შემდეგი დამცავი ზონები:
- ა) კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები; საფუძველი - „საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, თავი VII, „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები და მათი რეეიმები“.
 - ბ) წყლის დაცვის ზოლი; საფუძველი - საქართველოს მთავრობის დადგენილება N 440 (31.12.2013) „ტექნიკური რეგლამენტი წყალდაცვითი ზოლის შესახებ“, მუხლი 2;
2. დამცავ ზონებში მშენებლობის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას დაცული უნდა იქნეს შესაბამისი კანონმდებლობის/შესაბამისი გეგმების მოთხოვნები.

თავი IV

სოციალური/საინჟინრო/სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტერიტორიები

მუხლი 18. სოციალური ინფრასტრუქტურის ტერიტორიები

1. ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმით დადგენილია სოციალური ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი შემდეგი ტერიტორიები:
 - ა) საზოგადოებრივი სარგებლობის ტერიტორიები;
 - ბ) საზოგადოებრივი სარგებლობის ობიექტები;
 - გ) სპორტული და სათამაშო მოედნები.

მუხლი 19. საინჟინრო ინფრასტრუქტურის ტერიტორიები

1. ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმით დადგენილია საინჟინრო ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი შემდეგი ტერიტორიები:
 - ა) საინჟინრო ინფრასტრუქტურის ტერიტორია;
 - ბ) მაგისტრალური (საერთო სარგებლობის) საინჟინრო ინფრასტრუქტურის ქსელი.

მუხლი 20. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტერიტორიები

1. ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმით დადგენილია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი შემდეგი ტერიტორიები:
 - ა) ზელოვალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტერიტორია:
 - ა.ა) საავტომობილო ტრანსპორტის ტერიტორია;
 - ა.ბ) სარკინიგზო ტერიტორია;
 - ა.გ) საავტომობილო გზების ტერიტორია;
 - ა.დ) საჰაერო ტრანსპორტის ტერიტორია.
 - ბ) ლოკალური ტრანსპორტის და ქუჩების ტერიტორია:
 - ბ.ა) მთავარი ქუჩების კარკასი;
 - ბ.ბ) სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო ტერიტორია;
 - ბ.გ) ქუჩების ტერიტორია, მათი იერაქის მიხედვით (არტერიული, შემკრები და ადგილობრივი);
 - ბ.დ) სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო ტერიტორია.
2. ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმაში ასახული საპროექტო ქუჩების განვითარების პირობები შესაძლოა დაზუსტდეს სათანადო დასაბუთების საფუძველზე.

თავი V

განაშენიანების პარამეტრები

მუხლი 21. განაშენიანების პარამეტრები

განაშენიანების პარამეტრები განისაზღვრება ძირითადი დებულებებისა და ქ. ზუგდიდის საკრებულოს შესაბამისი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

თავი VI

მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების წესი

მუხლი 22. მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსება

მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსებისადმი მოთხოვნები განისაზღვრება ძირითადი დებულებებისა და ქ. ზუგდიდის საკრებულოს შესაბამისი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

თავი VII

განაშენიანების დეტალური გეგმები

მუხლი 23. განაშენიანების დეტალური გეგმების არეალები

1. ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმით დადგენილია ტერიტორიები, სადაც უნდა დამუშავდეს განაშენიანების დეტალური გეგმები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. დადგენილ ტერიტორიებზე, განაშენიანების გეგმით, განსაზღვრულია სარეკომენდაციო ფუნქციური ზონები. განაშენიანების დეტალური გეგმების საფუძველზე შესაძლებელია ფუნქციური ზონების/ ქვეზონების დაზუსტება და დამატება
3. განაშენიანების დეტალური გეგმების საზღვრების ცვლილება შესაძლებელია დეტალური კვლევის და დასაბუთების საფუძველზე.

10. დამცავი ზონები

10.1 კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები

ქალაქ ზუგდიდის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების არსებობა.

ქ. ზუგდიდის ქალაქთმშენებლობითი განვითარების მიმდინარე პროცესში გამოვლინდა, რომ ქალაქს არ გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დამცავი ზონები. მეტიც, ქალაქის ტერიტორიაზე კანონით დადგენილი რამდენიმე ათეული ობიექტია მხოლოდ, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული. თუმცა, თვალნათლივ ჩანს, რომ ქალაქის ტერიტორიაზე არაერთი ღირებული ობიექტია.

წინამდებარე დოკუმენტში, მნიშვნელოვან საკითხს სწორედ საპროექტო ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტების გამოვლენა იყო. (იხ. ქ. ზუგდიდის ცენტრალური ნაწილის კვლევის დოკუმენტი გვ. 17-67) შესაბამისად, განისაზღვრა მათთვის ინდივიდუალური დამცავი ზონების სისტემა და მათ მიეცათ რეკომენდაცია სტატუსის მინიჭებაზე.

სწორედ არსებული და სარეკომენდაციო ძეგლების კონცენტრაციით, მათი ინდივიდუალური დამცავი ზონების გათვალისწინებით, თავისთავად გამოიკვეთა ქალაქის ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის საჭიროება.

შემოთავაზებული ქალაქ ზუგდიდის ისტორიული განაშენიანების დაცვის სარეკომენდაციო ზონა, განისაზღვრა, საქართველოს კანონით „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ არსებული წესისა და კრიტერიუმების შესაბამისად.

ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონად წარმოდგენილ იქნა ტერიტორია, სადაც გამოვლენილი იყო ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დიდი კონცენტრაცია, ავთენტური სახით შენარჩუნებული ქუჩათა ქსელი, განაშენიანება, გეგმარებითი სტრუქტურა და მორფოლოგია. გათვალისწინებული იქნა, რომ ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის დადგენის მიზანია მასში დატანილი ძეგლების ისტორიულად ჩამოყალიბებული სივრცით-არქიტექტურული გარემოს, განაშენიანების ტრადიციული ფორმებისა და იერსახის შენარჩუნების, ქალაქის ისტორიული ნაწილის, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ორგანიზმის (დაგეგმარების სტრუქტურა, მორფოლოგია, შენობების მასშტაბი, ხასიათი, სილუეტი, იერსახე და ლანდშაფტი), დაცვისა და შენარჩუნების უზრუნველყოფა.

სწორედ ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით მოხდა საპროექტო ტერიტორიის შესწავლა:

ტერიტორიაზე არსებული მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით ყველა ღირებული ობიექტის აღნუსხვა (იხ. ცხრილი №4.7.1.1 და №4.7.1.2);

